საბჭოთა სპორტი 50 წლისაა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 234 (4228)

1970 წ. 29 ნოემბერი. კვირა. ფასი 6 კაპ.

სსკ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

მხურვალე სალამი ჩვენი მეზობელი რესპუბლიკის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს!

ХАНЗРТЕЛПБІЗІС САМЗЕДЛОС ІУБІЛЕ

ფიზკულტურის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის კედლებში 16 ათასზე მეტი ფიზკულტურის მასწავლებელი და მწვრთნელი აღიზარდა, — ამ მონაცემით დაიწყო ლაპარაკი 26 ნოემბერს საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისთვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე ინსტიტუტის რექტორმა, დოცენტმა ი. ნიკიფოროვმა. პრეს-კონფერენცია ჯანმრთელობის სამკედლოს იუბილეს მიეძღვნა: 1 დეკემბერს სსრ კავშირის ერთ-ერთი უძველესი ფიზკულტურის უმაღლესი სასწავლებელი თავისი არსებობის 50 წლისთავს იზეიმებს. ზუსტად ნახევარი საუკუნის წინ ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა რსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას ამ ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

...ინსტიტუტის აღზრდილები იყვნენ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ფაბრიკა-ქარხნებში ფიზკულტურული ორგანიზაციების ჩამოყალიბების თაოსნები. მათ დიდი წვლილი შეიტანეს წითელი არმიის რეზერვების სამხედრო-ფიზკულტურულ მომზადებაში. დიდი სამამულო ომის წლებში ინსტიტუტის აღზრდილები მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებებს ასრულებდნენ. მათგან შვიდი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

...ძველ შენობაში კაზაკოვის ქუჩაზე, სადაც ახლა ინსტიტუტია მოთავსებული, არის ოთახი-მუზეუმი. აქ ნახავთ დროისგან გახუნებულ მოკრივის ხელთათმანებს, რომლითაც რინგზე გამოდიოდა და ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევდა კ. გრადოპოლოვი. აქვეა ნ. ოზოლინის ბამბუკის ჭოკი. როგორც ცნობილია, ოზოლინი 30-ან წლებში ევროპაში უძლიერესი იყო ამ სახეობაში. ამავე ოთახში შენახულია თხილამურები, რომლებითაც პ. კოლჩინი კორტინა დ'ამპეცოს „ოქროს ესტაფეტაში" მონაწილეობდა.

პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტებს შეხვდნენ ინსტიტუტის სხვა სახელგანთქმული აღზრდილები: ლეგენდარული მორბენალი ვ. კუცი, მსოფლიოს საუკეთესო მეკარე ლ. იაშინი, ფიგურული ციგურაობის „ოქროს წყვილი" — ი. როდნინა და ა. ულანოვი, ევროპის რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში ი. ტერ-ოვანესიანი.

მარტო ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადებში ინსტიტუტის აღზრდილებმა მოიპოვეს ოქროს 44, ვერცხლის 36 და ბრინჯაოს 27 medალი.

მაგრამ იმ უდიდეს წვლილს, რაც ინსტიტუტის აღზრდილებმა საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცებაში შეიტანეს, ვერავითარი ჭულებითა და medალებით ვერ განვსაზღვრავთ. ინსტიტუტის დროშაზე ბრწყინავს მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი.

მოსკოველი მწვრთნელები მუშაობენ საზღვარგარეთაც — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთში, არაბთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში, კუბაში. მოსკოვში, ფიზკულტურის ინსტიტუტში, ჩამოდიან ახალგაზრდა განვითარებადი ქვეყნების სტუდენტები.

მალე იუბილარი ინსტიტუტი დატოვებს თავის ძველ ბინას კაზაკოვის ქუჩაზე. იზმაილოვოში მისთვის უნიკალური სპორტული კომპლექსი შენდება.

სპორტული კალეიდოსკოპი

ВАДАМДЕ!

რეკორდები

მოსკოვი, 27 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა გუნდების ტურნირში მოასპარეზე წყალქვეშ ცურვის ოსტატებმა ორი ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. ა. კრიუკოვმა 800 მ ფარფლებით 7 წუთსა და 52,8 წამში გაცურა. ეს შედეგი წლეულს მისი მეშვიდე მსოფლიო რეკორდია.

მეორე რეკორდი გაუმჯობესდა 4×200 მეტრზე ესტაფეტაში. არმიელთა ნაკრებმა დისტანცია 6 წუთსა და 55,4 წამში დაფარა.

გორის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციების ნაყოფიერი შრომით ვადამდე და გადაჭარბებით გაანაღდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლეულანდელი გეგმა-ვალდებულება.

გეგმით ქალაქში 5 სპორტის ოსტატი უნდა მომზადებულიყო, დღეისთვის კი მომზადებულია 12.

სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა 18 კაცმა, ეროვნულ სახეობებში სპორტის ოსტატისა — 7 სპორტსმენმა. და ეს მაშინ, როცა მათი მომზადება არ გვევალებოდა.

41 პირველთანრიგოსნის მომზადების გეგმა 200 პროცენტით გავანაღდეთ. სხვა თანრიგების 2123 სპორტსმენის ნაცვლად მომზადდა 2854.

იმშთ და მშთ კომპლექსების ნორმატივები ჩაბარა 1165 ფიზკულტურელმა. მომზადდა, აგრეთვე, 195 ხაზოგადოებრივი კადრი.

თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების მომზადება გრძელდება.

გ. მეუანგიშვილი,
გორის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ს. სარხოიანის ორი გამარჯვება

ბაკანანი, 28 ნოემბერი. მაგიდის ჩოგბურთის ოსტატთა აქ გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში გაიმარჯვეს: ერთეულთა თანრიგებში — მოსკოველებმა ბ. ანისიმოვამ და ა. ამელინმა, ქალთა წყვილებში — ა. გედრაიტიტემ (ბაკანანი) და ე. გოლუბკოვამ (მოსკოვი), ვაჟთა წყვილებში — ს. სარხოიანმა (ბათუმი) და გ. ვართანიანმა (ერევანი), შერეულ წყვილებში — ანისიმოვამ და სარხოიანმა.

ХЕКРІ ХАЗЕКІ

● **პეტროზავოდსკი**, 27 ნოემბერი. იუნიორ ძალოსანთა აქ გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში ვილნიუსელმა სტუდენტმა, 19 წლის ი. ლიუპკევიჩუსმა (სამუალო წონა) სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა თანატოლთა შორის — 173,5 კგ აკრა. ძველი რეკორდი — 173 კგ — მასვე ეკუთვნოდა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ი. ზემლიანუხინმა (ტომსკი) — 282,5 კგ, ა. ბერლეზოვმა (ვოლგოგრადი) — 305, ა. აგაფონოვმა (ნოვოსიბირსკი) — 347,5, ვ. ნიკიტინმა (რსფსრ) — 375, ე. გლუმოვმა (პერმი) — 417,5, ვ. რიქენკოვმა (მოსკოვი) — 460, ვ. კომისაროვმა (ივანოვო) — 480, ი. კოზინმა (მოსკოვი) — 530, ვ. კუზმინმა (ვოლგოგრადი) — 500.

● **ბანევეჟისი**, 27 ნოემბერი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია საკავშირო შეჯიბრებამ ბადმინტონში. სარბიელზე გამოვიდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი ოსტატები. ერთეულთა შორის ყველას აჯობეს ი. ნატაროვამ (უკრაინა) და ნ. ნიკიტინმა (მოსკოვი), ქალთა წყვილებში — დებმა რეინა და რეეტ ვალგმაებმა (ესტონეთი), ვაჟთა წყვილებში — უკრაინის წარმომადგენლებმა კ. ვავილოვმა და ნ. პეშეხონოვმა, შერეულ წყვილებში — ნატაროვამ და პეშეხონოვმა.

● **ელ-კუვეიტი**, 27 ნოემბერი. რუსეთის ფედერაციის ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელსაც „ა" კლასის პირველი და მეორე ჯგუფების მოთამაშეები შეადგენენ, კუვეიტში 3 მატჩი გამართა. ქვეყნის ნაკრებთან სტუმრები დამარცხდნენ (1:3), მერე ფრედ ითამაშეს „არაბიკთან" (1:1), ხოლო სირიაში გამგზავრების წინ ანგარიშით 1:0 დაამარცხეს „ოადსია".

● **ლენინგრადი**, 27 ნოემბერი. აქ დაიწყო სოციალისტური ქვეყნების არმიელ მოცურავეთა მორიგი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა ქვეყნის აუზებში. ჯერჯერობით გამარჯვებულნი ექვს სახეობაში გამოვლინდნენ. სამ სახეობაში პირველობა საბჭოთა არმიელებმა დაისაკუთრეს, ორში გდრ-ის სპორტსმენებმა იმარჯვეს, ხოლო ერთი დისტანცია პოლონელებმა მოიგეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. კულიკოვის გამარჯვება 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 54,8.

● **ტალინი**, 27 ნოემბერი. ასუჯრიან შაშში აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის IX ტურში დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — მსოფლიო ჩემპიონი, დიდოსტატი ანდრეიკო და საერთაშორისო ოსტატი მ. კორხოვი. მწვავე ბრძოლაში ანდრეიკომ მნიშვნელოვან უპირატესობას მიაღწია, მაგრამ ოდესღაც შეუპოვრად იცავდა თავს და მეტოქენი დაზაღდნენ. კუპერმანმა ბრწყინვალე კომბინაციის წყალობით დაამარცხა მერინი, შველმა მოუგო ე. კორხოვს. ყაიმით დამთავრდა პარტიები: მეშჩანსკი — შაუსი, განტვარგი — მოგილიანსკი, ოგოროდნიკოვი — ციპესი, დავიდოვი — კაპლანი, გერშტი — შჩოგოლევი, რაცი — გოლოსუევი. 9 ტურის შემდეგ კვლავინდებურად ლიდერობენ ანდრეიკო და მ. კორხოვი — 6-6 ქულა. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან შჩოგოლევი, განტვარგი, კუპერმანი და ოგოროდნიკოვი.



სურათზე: თამაშობენ მსოფლიო ჩემპიონი ა. ანდრეიკო (მარცხნივ) და დიდოსტატი ვ. კაპლანი (კიევი).

ბ. კუზნეცოვის ფოტო (საკდესი).

მოწოდების ერთგულნი

ოქტომბრის გულუხვი მზის სითბომ შექმნა სოფელი ჰოქტემბერი. ნახევარი საუკუნის წინ ეს სოფელი შავბნელ წარსულს დაემშვიდობა. პატარა კოლექტივი მსხვილ კოლმეურნეობად იქცა, რომელმაც თავისი სასახელო საქმეებით მთელს სომხეთში დამსახურებული პოპულარობა მოიპოვა.

ჰოქტემბერში უკვართ ყველაფერი ჯანსაღი, ლამაზი. ავიღოთ თუნდაც სპორტი. მარტო მანუკიანების ოჯახში ოთხი წევრი აღიარებული სპორტსმენია: ლევონი, მანველი, პაილაკი და ალვარდი საკავშირო და რესპუბლიკურ პირველობათა პრიზიორები არიან. ეს მეგობრული კვარტეტი ბევრ რამეს აკეთებს თანასოფლელთა ცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვისთვის. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ფიზკულტურის მასწავლებელს, რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონს მარათონულ რბენაში გ. ეგიაზარიანს, რომლის ბევრი აღსაზრდელიც სომხეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრია.

ახლა ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები სპორტის ათ სახეობაში არიან ჩაბმული. ამ სახეობების პოპულარობას დიდად უწყობენ ხელს სპორტის ენთუზიასტები კ. ბაღდასარიანი, ს. სარქსიანი (ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე), მ. კნიაზიანი, პ. მარქარიანი, ზემოთ მოხსენიებული მანუკიანების ოჯახი, რ. სმბატიანი და სხვ.

ჰოქტემბრელებმა შრომასა და სპორტში დიდ წარმატებას მიაღწიეს. თუნდაც ის, რომ ამ სოფლის წარმომადგენლები ძალიან ხშირად გადიან I ადგილზე რაიონულ სპარტაკიადებში, მოწმობს, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა (გამგეობის თავმჯდომარე ს. ხაჩატრიანი, პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ე. კოსტანიანი) მონდომებასა და თანხებს არ იშურებს სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებისთვის, კოლმეურნეთა ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის.

ჰოქტემბრელებმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს შრომისნაყოფიერების ამაღლებაშიც. მილიონერი კოლმეურნეობის სასახელო საქმეებში თავიანთი წვლილი შეაქვთ კომკავშირელ სპორტსმენებსაც. ისინი დაჯილდოებული არიან პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საპატიო სიგელით.

მოსავლის აღების შემდეგ ჰოქტემბერიანის რაიონის სოფელ ჰოქტემბერში შედარებით მშვიდი დღეები დადგა. სამაგიეროდ, სტარტზე გამოვიდა ტრადიციული სპარტაკიადა.

ს. ვარდანიანი.
სოფ. ჰოქტემბერი,
ჰოქტემბერიანის რაიონი.

ჩქეფს მოძმე სომხეთის

ალმავლობის გზაზე

„იმ მიზნით, რომ ასმა კაცმა სხეული გაიკაჟოს, 50 სპორტსმენი უნდა გახდეს; რათა 50 კაცი სპორტში ჩაებას, 20 სპეციალისტი უნდა იყოს; ხოლო რათა 20 სპეციალისტი იყოს, ხუთმა მაღალი ზედეგები უნდა აჩვენოს", — დიდი ფრანგი ჰუმანისტის, საზოგაოებრივი მოღვაწისა და პედაგოგის პიერ დე კუბერტენის ეს სიტყვები სპორტული მოძრაობის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ.

დიახ, მასობრიობის გარეშე სპორტული ოსტატობის მწვერვალებზე იერიშის მიტანა შეუძლებელია. სიმაღლეზე მდგომნი ახალ ძალებს იზიდავენ გამარჯვებისკენ. როცა დღეს სპორტულ ცისკიდურს გავყურებთ და ჩვენი ვარსკვლავების დათვლაც გვიჭირს, თითქოს გვავიწყდება, რომ მათი ასეთი წარმატებისთვის სასტარტო მოედანს ქმნიდნენ მილიონები, რომელთაც თავიანთი სხეულის გაწვრთნა და გაკაჟება ისურვეს. მათთან ერთად იყო ათასობით სპეციალისტი.

საიდუმლო არ არის, რომ სპორტი უდიდესი ტემპებით ვითარდება იმ ქვეყანაში, სადაც ადამიანს კარგი პირობები აქვს შრომისთვის, დასვენებისთვის, სადაც ადამიანის ჯანმრთელობა უპირველესი ამოცანაა. ამ ნათქვამის ნათელი დადასტურებაა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობა. 50 წლის მანძილზე იგი ისე აყვავდა, რომ საყოველთაო განცვიფრება გამოიწვია. დღეს საბჭოთა სპორტი მტკიცედ მიაბიჯებს მსოფლიო სპორტის ავანგარდში, დღითი-დღე მტკიცდება მისი რიგები, მრავლდება წარმატებები.

ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობის საიმედო რგოლია სპორტსმენთა არმია, რომელიც ახლა საბჭოთა სომხეთის 50 წლისთავს აღნიშნავს. ამ მოძრაობაში ჩამოყალიბებულია ასიათასობით ჯანმრთელი, ძლიერი ადამიანი. როცა ამ წარმატებაზე ვლაპარაკობთ, უნებურად ვუბრუნდებით ჩვენი რესპუბლიკის დაბადების თარიღს, ვცდილობთ განვსაზღვროთ ის საძირკველი, რომელზეც ასე მყარად ვითარდება სომხეთის სპორტი.

ყველაფერი ყამირზე აშენდა საბჭოთა ხელისუფლების წყალობით, რომელმაც სიცოცხლე ჩაბერა ჩვენს თითქმის გამოფიტულ მიწას. 20 წლის შემდეგ სომხეთის სპორტსმენებმა უკვე თქვეს თავიანთი სიტყვა. საერთაშორისო სარბიელზე გამოვიდნენ ს. ამბარცუმიანი, რ. მანუკიანი, ს. ვარდანიანი, ი. აზდაროვი, გ. შაგინიანი, შემდეგ — ა. აზარიანი, ი. ნოვიკოვი, ვ. ენგიბარიანი, ნ. მუშეღიანი, ს. ზაქარიანი, ა. აკოფიანი. მათ მთელს მსოფლიოს ამცნეს, რომ სომხეთი ცოცხალია, ვითარდება და სპორტშიც წარმატებების გზას ადგას.

ამ სპორტსმენთა ვვალდაკვალ, რომელთაც სახელი გაუთქვეს ჩვენს სამშობლოს, გაიზარდა ახალგაზრდა თაობა. იგი მზად იყო წინამორბედთა გამარჯვებების განსამტკიცებლად, ტრადიციების დასაცავად. მაგრამ, რაც უფრო წინ მიდის ცხოვრება, მით უფრო ძნელი ხდება ოსტატობის მწვერვალებზე იერიშის მიტანა. ეს სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან ამ საპატიო მიზნისკენ ათასები ისწრაფვიან.

სომხეთის სპორტი განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ბოლო წლებში. მწყობრში დგებიან საუკეთესო სათამაშო მინდვრები, სტადიონები, საცურაო აუზები, მშრომელთა აქტიური დასვენების ზონები. საპატიო კვარცხლბეკს სულ უფრო მეტი მონდომებით და წარმატებით უტევენ ჩვენი ნორჩი და ახალგაზრდა სპორტსმენები. სპორტული სეზონი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე იმდენი წარმატებაა მოპოვებული, ძნელია რომელიმე მათგანზე შეჩერდე. მაინც პირველთა შორის პირველნი უნდა მოვიხსენიოთ ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, თავისუფალი სტილის მოჭიდავე პ. მალიანი, სსრ კავშირის ჩემპიონები კრივში ს. კაზარიანი და კ. საროიანი, მსოფლიო ახალგაზრდული პირველობის მესამე პრიზიორი, მოფარიკავე ა. კარაგიანი, სსრ კავშირის ჩემპიონი ქალთა შორის, მძლეოსანი ფ. მელნიკი, საკავშირო სტუდენტური პირველობის მესამე პრიზიორი, მოფარიკავე ა. კარაგიანი, სსრ კავშირის ჩემპიონი ქალთა შორის, მძლეოსანი ფ. მელნიკი, საკავშირო სტუდენტური პირველობა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონი რ. ვაგამიანი, სსრ კავშირის პირველობათა ვერცხლის პრიზიორები, ცხენოსნები კ. ზაქარიანი და ა. ნებოგოვი, ქვეყნის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, მოკრივე დ. ტოროსიანი, სსრ კავშირის ჭაბუკ მაგიდის ჩოგბურთელთა შორის გამარჯვებულნი გ. ხანზრატიანი, ე. ანტონიანი და გ. სააკიანი, კლასიკური სტილის მოჭიდავე ს. ტონოიანი, ქვეყნის ნაკრების კანდიდატი, ველოსიპედისტი ნ. ავეტისიანი და ბევრი სხვა.

სპორტის მედროშეებს კვალში მიჰყვება ათობით ჭაბუკი და ქალიშვილი, რომელთაც სხვადასხვა პრიზი აქვთ მოპოვებული ქვეყნის პირველობებში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქვეყნის ნაკრებ გუნდებში ცალკეულ სახეობებში ახლა მაცილებით მეტი სპორტსმენი გამოდის სომხეთიდან, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში 263 ათასი სპორტსმენი და ფიზკულტურელია, 18 სპორტის დამსახურებული ოსტატი, 13 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 990 სპორტის ოსტატი, 235 სომხეთის სსრ დამსახურებული მწვრთნელი, 6 საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, 154 საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

მაგრამ ამ წარმატებებით არ ვკმაყოფილდებით. ჩვენი სპორტსმენების წინაშე დასმული ამოცანები ყოველწლიურად რთულდება. მათი გადაჭრა მუშაობის ახალ მეთოდურ ფორმებს მოითხოვს მასობრიობის განვითარებისა და ტექნიკური ოსტატობის ამაღლების თვალსაზრისით. რესპუბლიკის სპორტსმენთა და ფიზკულტურელთა მრავალათასიანი არმია ღირსეულად აღნიშნავს საბჭოთა სომხეთის 50 წლისთავს და დამაჯერებლად მიიწევს წინ, აღმავლობის გზაზე.

გაზეთ „საიასტანი ფიზკულტურნიკის" რედაქცია.

გუტპელცი მისი აღსაზრდელი

გუტპელცსა და მის აღსაზრდელებს რესპუბლიკურ სტადიონზე შევხვდი, როცა ისინი ფეხბურთს თამაშობდნენ. სიხარულით უბრწყინავდათ სახეები. პატარა კარი და მის მახლობლად „გიგანტი" გეორგ გუტპელცი, წინ კი ათეულზე მეტი სპორტსმენი და, მათ შორის, ორი გოგონა უტევდნენ და იცავდნენ კარს.

რა აკავშირებთ ვეება აგებულების გუტპელცს და ამ ნორჩ სპორტსმენებს?

...მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა. ლენინაკანი. 10 კილომეტრზე სპორტული სიარული. სტარტამდე სულ რაღაც რამდენიმე წუთია დარჩენილი. ამხანაგი გეორგი (ასე უწოდებენ აქ ლატვიელ გეორგ გუტპელცს) უკანასკნელ რჩევა-დარიგებას აძლევს თავის აღსაზრდელებს — ძმებ ნერსესიანებს. მწვრთნელი არ იმჩნევს ამას, მაგრამ ღელავს: მისი თანამემამულეები, აგრეთვე, ესტონელები, ლიტველები ტანმაღალი არიან, კარგად მოყვანილი სხეული აქვთ და სერიოზული კონკურენციის გაწევა შეუძლიათ. „ათეულში მაინც მოხვდებოდნენ სერგეი და სიმონი", — ფიქრობს გუტპელცი.

— სერგეი, — ამბობს იგი. — შენს მეტოქეებს სიცხისა ეშინიათ და ამიტომ არ შეეცდებიან ლიდერობა აიღონ ხელთ. თავიდანვე დაწინაურდი, მერე გაგიადვილდება. მაგრამ შეეცადე, უკანასკნელ მეტრებამდე შემოინახო ძალა.

შემდეგ მწვრთნელი სიმონს მიუბრუნდა:

— შენ კი ყოველნაირად ეცადე მოწინავე ჯგუფს არ ჩამორჩე.

...უკვე განვლილია 3 კილომეტრი, სერგეი კი ყველას უსწრებს 150 მეტრით. სიმონი მესამეა რსფსრ-ს წარმომადგენლის შემდეგ.

სპორტსმენებმა 7 კილომეტრი განვლეს. სერგეი ლიდერობს თითქმის ნახევარი კილომეტრის უპირატესობით, სიმონი კი ისევ კვალში უსის თავის მეტოქეს.

მწვრთნელს არ უნასავს თავისი აღსაზრდელის გამარჯვება. მას მხოლოდ მისასალმებელი ყიჟინა მოესმა სტადიონის ტრიბუნებიდან. ამბობენ, ბევრს ცრემლი მოადგა თვალებზე, როცა სერგეიმ ფინიშის ხაზი გადაკვეთა.

სიმონი ამ დროს განაგრძობდა ბრძოლას. აი, კიდევ ერთი ბიძგი. იგი წინ გადის და სტადიონის ტერიტორიაზე ადგამს ფეხს. მაყურებლები მილესალმებიან მეორე სომეხ სპორტსმენს. დაქანცულობისგან იგი ძლივს დგას ფეხზე. სიმონი ბუნდოვნად ხედავს სეზონი რამდენიმე სახეობას მივდ... ვდი, დივიზიის ჩემპიონიც კი ვიყავ... კრივში, მაგრამ გრძელ დისტანციებზ... სიარული და რბენა ყველაზე მეტ... მომწონდა. დემობილიზაციის შემდ... დავუბრუნდი ბლიუმბერგს, ვვარჯიშობ... დით რიგის მახლობლად, ტყეში.

წარმატებებმაც არ დააყოვნა. 1961 წელს გუტპელცმა შეასრულა სპორ... ტის ოსტატის ნორმატივი, ორი წლის შემდეგ აჩვენა მსოფლიოში საუკეთესო შედეგი 50 კილომეტრზე სპორტული...

სიარულში, 1965 წელს შეასრულა სპორ... ერთაშორისო კლასის სპორტის ოსტა... ტის ნორმატივი. იგი ლატვიის მრავალ... გზის ჩემპიონია, ბევრ საერთაშორისო... ჯერ... ბებში გამარჯვებული და პრ... ზიორი.

— პირველად სომხეთში 1967 წ... მოვსვდი, — ამბობს გუტპელცი. — ... ლენინაკანში ოლიმპიელთა შეჯიბრ... მიმდინარეობდა. 50 კილომეტრზე სს... არულში დავიკავე I ადგილი და... ... ხეთში დავრჩი. სსრ კავშირის ხალ... თა IV სპარტაკიადაზე შეცდომით ...

...

ნახაჯაძორში სექტემბრის მზიანი დღეა. ირგვლივ იდუმალება გამეფებულა. სპორტსმენებიც გარინდებულან. ტყის მუდმივ ბინადართა — ფრთოსანთა „პაექრობა" რომ არა, ბუნების ამ სიმყუდროვეს ალბათ არაფერი დაარღვევდა. ტყის განაპირას, მერხზე ჩაფიქრებული ზის ჩვენი ნარკვევის გმირი — ქვეყნის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში ე. ზაქარიანი. ვუყურებ და ვფიქრობ, ნეტავ ასეთი რა გასაჭირი დასდგომია მტკიცე ნებისყოფის, ძლიერ ადამიანს-მეთქი. გადავწყვიტე მისი სიმყუდროვე დამერღვია.

— ეორა, რას ჩაფიქრებულხარ? სულ ტყუილად მოგიწყენია. მეხეოს ოლიმპიურ თამაშებზე წამსვლელი კაცი უფრო მხიარული უნდა იყოს!

ეორამ შემომხედა და მომიგო:

— დიახ, წამსვლელი კი, მაგრამ მე ხომ ვერ მივდივარ. უფრო სწორად, ჩემს წაყვანას არ აპირებენ.

— კარგი ერთი, ახა, ვინ გამ... ... ჭკვიმსუბუქ წონაში, საიდან მოიგო...

— მწვრთნელებს მიაჩნიათ, ... ტაშკენტელი კაზაკოვი უფრო შესაფერ... კანდიდატურაა, მე კი კარგ სპ... ტულ ფორმაში არა ვარ. არადა, ... სოდეს მიგრძვნია თავი ასე კარგად, ... გორც ახლა. არა, ჩემისთანა უიღბ... მოჭიდავე მეორე არ მეგულება. ... როპის ჩემპიონატში მსაჯების არ... ეჭტურობის მსხვერპლი გავხდი ... პირველი ადგილის ნაცვლად მეოთ... აღმოვჩნდი, ქვეყნის ჩემპიონატში ... სი დაბრკოლება გადამეღობა, ახლა ... მეხიკოსკენაც ჩამიკეტეს გზა. არა ... ბია სულ დავანებო სპორტს თავი?

ასეთი სულიერი მდგომარეობა ... ბათ არც ერთი სპორტსმენისთვის ... ხი არ არის. დაუმარცხებლებსაც ... ბევრჯერ უიღბლო სპორტსმენებად ... თვლიათ თავი და დიდი სპორტ... წასვლაზე უფიქრიათ. მაგრამ ისინ...



ერთი ლვიძლი დები არიან და ძალიანაც უყვართ ერთმანეთი, მაგრამ საცურაო აუზში ფეხის ჩადგმისთანავე შეუპოვარ მეტოქეებად იქცევიან. უფროსი და ასმიკი პირველი სომეხი მოცურავე ქალია, რომელმაც სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა ბრასის სტილით 100 და 200 მეტრზე ცურვაში. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ეს წარმატება გაიმეორა მისმა დამ — რიფსიმემ, რომელიც ასმიკზე 3 წლით უმცროსია. ახლა დები ჯილავიანები რესპუბლიკის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შედიან და სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის ემზადებიან.

ერთ ოჯახში ორი სპორტის ოსტატი და ორივე ქალი! ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ ამაზე ოცნებაც გვიჭირდა. ახლა კი სომხეთში მჭიდრო სპორტული ტრადიციების მქონე უამრავი ოჯახია.

სურათზე: ასმიკ (მარცხნივ) და რიფსიმე ჯილავიანები საწვრთნელი მეცადინეობის დროს.

რ. ეკეკიანის ფოტო.

სპორტული ცხოვრება

ბრინჯაოს პრიზიორი

ყველა ხუთჭიდელს, როგორც ...ესი, აქვს ერთი-ორი საყვა... სახეობა: ერთს შესანიშნავი ...ერის მონაცემები აქვს, მეორე ...ეკეთესო შედეგებს აღწევს ცურ...ში, მესამე კარგად დარბის ან ის...ის. აშოტ კარაკიანი კარგად ფა...ობდა. იგი სულ 11 წლისა იყო, ...ია პირველად შეაღო ნორჩ ...ჭიდელთა სკოლის კარი. მაშინ ...რაკიანი თანაბრად იყო „დაუფ...ებული“ თანამედროვე ხუთჭიდის ...ელ სახეობას, მაგრამ გავიდა ...ლები, და მან გარკვეულ სიმაღ...ებს მიაღწია: გამარჯვებები მო...ოვა ჭაბუკთა რესპუბლიკურ შე...ბრძოლებში, თასის მფლობელიც კი ...ბდა. ეს აიხსნებოდა მისი ნი...თ, შრომისმოყვარეობით და ...ვრთნელთა ნაყოფიერი მუშაო...თ.

...კარაკიანის ხალასი ნიჭი ...ულ სიძლიერით ფარიკაობაში გამოვლინდა. როგორც კი აიღებ-და ხელთ დაშნას, იგი იმედიანად გრძნობდა თავს. რა თქმა უნდა, ამას კარგად ხედავდა ნორჩი ხუთჭიდელის მწვრთნელი ლ. სტეფანიანი. შარშან, „დინამოს“ ახალგაზრდულ საკავშირო პირველობაში კარაკიანმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწია, სომხეთის პირველობაში კი, როგორც ჭაბუკებს, ისე ახალგაზრდებსა და უფროსთა შორისაც, ყველას აჯობა.

სომხეთის ჩემპიონი ა. კარაკიანი საკავშირო გათამაშების მონაწილე იყო და ღირსეული ადგილიც დაიკავა, მაგრამ მთავარი იყო ის, რომ მან ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელთა ყურადღება მიიპყრო. ჩინებულმა ბუნებრივმა მონაცემებმა, პირველხარისხოვანმა ტექნიკურმა და ტაქტიკურმა მომზადებამ მას საშუალება მისცა შესარჩევ შეჯიბრებებში გაემარჯვა ნაკრების ხუთ სხვა კანდიდატთან შეხვედრებში. სხვათა შორის, მან სსრ კავშირის 1969 წლის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ბ. ლუკომსკიც დაამარცხა.

და აი, წლეულს, გაზაფხულზე, მინსკში გამართულ ახალგაზრდა მოფარიკაკეთა მსოფლიო პირველობაში კარაკიანმა ადგილობრივ გულშემატკივართა დიდი სიმპათია დაიმსახურა, ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. ხოლო ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა. სპეციალისტთა აზრით, სომეხ მოფარიკავეს კიდევ უფრო მაღალი შედეგის მოპოვება შეეძლო, საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის საკმაო გამოცდილება რომ ჰქონოდა.

ეს კი უკვე დროის საქმეა.

ტ. ვაროსიანი.

სურათზე: ა. კარაკიანი.

რ. ეკეკიანის ფოტო.

ვაჩაგან ტერ-მელიქსეტიანი სულ 18 წლისაა. მაგრამ მარტო წლეულს მის მიერ მოპოვებული ტიტულებით შეიძლებოდა ერთი ლამაზი გვირგვინი დაგვეწნა, რომლის ყველა ფურცელი ბაჯალო ოქროსგან იქნებოდა გამოკვეთილი.

...„შრომითი რეზერვების“ საიუბილეო სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი, რესპუბლიკის საიუბილეო სპარტაკიადაში გამარჯვებული, ქვეყნის იუნიორთა პირველობის ჩემპიონი რგოლებზე ვარჯიშში...

აზარიანისეული ჯვარი ვაჩაგანისთვის ყველაზე საყვარელი ვარჯიშია. შემთხვევითი როდია, რომ ახლახან ლენინგრადში დამთავრებულ იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატში ვ. ტერ-მელიქსეტიანს ჩემპიონის მედალთან ერთად ა. აზარიანის სახელობის სპეციალური ჯილდოც გადაეცა.

ყველა მემკვიდრეობა მისაბაძი და ქების ღირსი როდია, მაგრამ ის, რაც ვაჩაგანმა გადმოიღო სახელოვანი წინამორბედისგან, მართლაც უმაღლეს შეფასებას იმსახურებს.

ვ. ტერ-მელიქსეტიანი ტანვარჯიშში ერევნის განათლების განყოფილების სკოლაში, თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, „აზარიანის სკოლაში“ ოსტატდება. მას წვრთნის გულისხმიერი პედაგოგი და თავისი საქმის კარგი სპეციალისტი ჰ. ვანეციანი.

რ. ეკეკიანის ფოტო.

...წარეს გუტპელიანი, ხოლო სახელი— ...ორკი. გამოდის, რომ მეც სომეხი ...ვ, — ხუმრობით ამთავრებს გუტ...ელი.

— ...რა პერსპექტივები აქვთ თქვენს ...�ასწრდელებს?

— ...ათ უკვე გამასწრეს. როცა მე ...ნის ვიყავი, რამდენისაც არიან სე...ი, სიმონი, ოგიკი, 10 კილომეტრს ...ასწლოვანებით 54 წუთში ვფარავდი. ...ი... ჭაბუკთა საკავშირო რეკო...ი, რომელიც სერგეის ეკუთვნის, 45 სწვეოდნენ.

— ძალიან შრომისმოყვარე ახალგაზრდები არიან. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემს აღსაზრდელებს დავალება არ შეესრულებინოთ. უნარიანი, შემსრულებელი ხალხია.

— რამდენიმე სიტყვა თქვენი წვრთნისა და სწავლების მეთოდების შესახებ...

— ბოლო დრომდე საბჭოთა კავშირში უპირატესობა ეძლეოდა სისწრაფეს, მერე კი ძალასა და გამძლეობას. ჩემი აზრით, ეს არაა სწორი მეთოდი. მთავარია შექმნა გამძლეობის ბაზა. სისწრაფის ელემენტების გამომუშავებისას მეტად ძნელია ვარჯიშის მრავალგზისი გამეორება. მართალია, სპორტსმენები სწრაფ პროგრესს განიცდიან, მაგრამ ასევე სწრაფად კარგავენ ძალას. მე ვცდილობ ჯერ გამოვიმუშაო გამძლეობის ელემენტები, ფიზიკურად გამოვაწრთო ახალგაზრდები. რასაკვირველია, ამავე დროს წარმოებს სიარულისა და რბენის ტექნიკის დახვეწაც. ამ მეთოდს ჩვენში ახლა ბევრი მწვრთნელი მისდევს.

მე ყოველნაირად ვცდილობდი გამეგო, თუ რა აკავშირებს ასე მტკიცედ მწვრთნელსა და მის აღსაზრდელებს, მაგრამ თავმდაბლობა გუტპელცს საშუალებას არ აძლევდა პირდაპირ ეპასუხა ამ კითხვაზე. იგი გულისტკივილით აღნიშნავდა მხოლოდ იმას, რომ შემოდგომით ბევრნი მოდიან მასთან სამეცადინოდ, მაგრამ მძლეოსნური სკოლის არასახარბიელო მდგომარეობა გულს უტეხს ზოგიერთს და ისინი სპორტს თავს ანებებენ. აი, აქ ჩანს სწორედ სასიათის ის თვისებები, რომლითაც ბევრნი არიან დაჯილდოებული. ბეჯითი სპორტსმენები, რომლებიც დიდ სპორტში მოდიან, თავიანთი მასწავლებლის კვალს მიჰყვებიან. ეს კვალი კი მათ წაიყვანს შორს, ნამდვილი სპორტული ოსტატობის მწვერვალებისკენ.

ლ. ანანიკიანი.

სურათზე: გ. გუტპელცი თავის აღსაზრდელებთან.

რ. ეკეკიანის ფოტო.

...ი დ ...ლ ...ლ ...ბ ...ი

...ოსა და 39 წამს უდრის, ხოლო სი...ნის შედეგი მესამეა — 48,03. ...ვარ...ბომთ კვირაში ხუთ დღეს — სამ...ურ მინდორზე, ორჯერ—რაზდანის ხე...ში.

...მაგრამ ეს მათ არ აკმაყოფილებთ. ...ველ კვირადღეს, დილის 8 საათზე, ...ი და სიმონი, აგრეთვე, ოგანეს ...ბომანიანი და სუსანა მაბარიანიც კი ...ნ ეწვევიან მწვრთნელს და მასთან ...ერთად მიემართებიან რაზდანის მიდა...ბებს. მწვრთნელს ჯერ არ ძნ...ვს დღე, რომ მას ჭაბუკები არ



მთიებში

დაკლაკნილი გზა მაღლა, მთებისკენ მიემართებოდა. ცხარე კამათით დაღლილნი ახლა ჩუმად ვისხედით მანქანაში. შორს არავაცის თეთრი მწვერვალები ჩანდა, რომელთა ფერდობებზეც ბიურაკანის ობსერვატორიის შენობაა აღმართული. სწორედ იქით მივდიოდით, რათა ჩვენი უცხოელი სტუმრებისთვის ვარსკვლავებთან მისაუბრე სწავლულები და უნიკალური ხელსაწყოები გაგვეცნო. უცებ სიჩუმე ზურნისა და დოლის ხმამ დაარღვია. ჯერ ვერ მივხვდით, საიდან მოდიოდა ეს ხმა, მერე კი მინდორზე შეკრებილი ხალხი გავარჩიეთ. წრეში ორი მაღალი, მოხდენილი ჭაბუკი მთიულურს ცეკვავდა.

— ბედი გვქონია, — შესძახა მძღოლმა, — პარპელებს ისევ მოუწყვიათ კოხში შეჯიბრება.

— კოხი რა არის? — დაინტერესდა ერთ-ერთი სტუმარი.

... დიდსა და პატარას მინდორზე მოეყარა თავი. ზურნის ხმა თანდათან გაძლიერდა, გულშემატკივრები კი უკვე მთელი ხმით გაჰყვიროდნენ. ორი ჩოხიანი ბიჭი ჭიდაობდა, თანაბარი ძალის მეტოქეები ჩანდნენ. მაგრამ უცებ ერთ-ერთმა მოქნილი მოძრაობით მოატყუა მეორე, ხიდური გააკეთა და მეტოქე მიწაზე დასცა. მოხუცმა მსაჯმა გამარჯვებულის მკლავი აღმართა და ზურნა ერთი წუთით გაჩუმდა. გამარჯვებული და დამარცხებული ერთმანეთს გადაეხვივნენ, ზურნა და დოლი კი წრეში მოჭიდავეთა ახალ წყვილს იწვევდა.

კოხის მეოლიმპიეზი ისმის

საუკუნეთა სიღრმიდან გადმოგვეცა სომხური ეროვნული ჭიდაობის ტრადიცია. ახლა ძნელია ითქვას, პირველად როდის წარმოიშვა ეს სახეობა. მაგრამ ვიცით, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში სომხეთის მეფე ვარაზდატი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი იყო მრავალჭიდში, რომელშიც ჭიდაობაც შედიოდა.

კოხმა ფართო აღიარება მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. განსაკუთრებით უყვართ ეს სპორტი სოფლად. იგი საუკეთესო საწვრთნელი საშუალებაა ჭიდაობის ოლიმპიურ სახეობებში. აი, რატომაა, რომ პატარა ზოიანი სოფელი პარპი მთელს საბჭოთა კავშირშია ცნობილი. აქ დაიბადა და აღიზარდა კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის, სამბოს ბევრი ოსტატი, ნ. ალბარიანი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. იგი მონაწილეობდა მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში და თავის მშობლიურ სოფელს იქაც გაუთქვა სახელი.

ახლა კოხი ყველა წარმომადგენლობითი რესპუბლიკური შეჯიბრების პროგრამაში შედის. ამ მიმზიდველ სახეობაში ყოველწლიურად ტარდება შეჯიბრებები სოფლებს, რაიონებს, ქალაქებს შორის. ყოველ ხალხს თავისი ტრადიციები და ჩვევები აქვს. სომეხი ხალხი საუკუნეების მანძილზე მუხლჩაუხრელად შრომობდა, ქვასა და მიწას ებრძოდა, ძილი არ იცოდა, რათა მომხდურისგან თავი დაეცვა. მაგრამ, ამავე დროს, არც მუსიკალურ ინსტრუმენტებს იშორებდა, სპორტზე, ჯანის გაკაჟებაზე ფიქრობდა.

არავინ იცის, ვინ და როდის მოიგონა სომხური თამაში ტამა, მაგრამ 64 შავ და თეთრ უჯრაზე განლაგებული 16 ფიგურით ბრძოლა ისე დახვეწილი და სტრატეგიული თვალსაზრისით იმდენად მრავალფეროვანია, რომ არ შეიძლება განცვიფრებული არ დავრჩეთ ამ თამაშის გამომგონებლის დაკვირვებითა და ოსტატობით. ან როგორ შეიძლება ბატივი არ ვცეთ ნარდის გამომგონებელს, ამ თამაშმა ხომ დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელს ამერიკაკავკასიაში, შუა აღმოსავლეთში და შუა აზიაში.

ახლახან დამთავრდა ეზოს სპორტული კლუბების რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელშიც ყველა ასაკის ხალხი მონაწილეობდა. შეჯიბრების ყველაზე მასობრივი სახეობა იყო ეროვნული თამაშები. უნდა აღინიშნოს, რომ ეზოს კლუბები სიახლეა ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში. ყოველმა ეზომ, ყოველმა სახლმპართველობამ თავისი კლუბი შექმნა, იზრუნა ბაზების კეთილმოწყობისთვის, ინვენტარის შეძენისთვის.

ეზოებში მცხოვრები სპეციალისტების დახმარებით იქმნება ჯგუფები ცალკეულ სახეობებში, რომლებიც სისტემატურ მუშაობას ატარებენ. ეს ყველაფერი ადამიანის ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის, ეროვნული ტრადიციებისა და ადათ-წესების შენარჩუნებისთვის კეთდება.

რ. ალასიანი.

...ეიდლის წონა

...ბიელზე რჩებოდნენ, ერთხელ ...ერიოზულად ჩაუფიქრდებოდნენ ...ეს და დასცინიდნენ, რომ ყველა...ერი თვითონვე მიუძღვოდათ ბრალი. ...ულასდილად უნდა გითხრათ, ჟორას ...ეები არ მესიამოვნა. ვინ ვინა და ...ორა ზაქარიანი ძალიან უყვართ ჩვე...ი. მე ბევრჯერ დავრწმუნებულვარ ...ში, მაგრამ ახლა ჟორას აღარაფერი ...თხარი.

ჟორა ზაქარიანი მეხიკოში ვერ გა...ვა. მას ორ-ორ მარ-დელ-პლატაში ...ულ მსოფლიო პირველობაში მი...ონაწილეობა. უკვე შევშფოთდი: ...ეს დასასრული იყო? სწორედ ...ამ გამო ვითხოვე მიგლინება ივანო...ოვსკში, სადაც კლასიკურ ჭი...ობაში ქვეყნის პირადი ჩემპიონატი ტარდებოდა. აქ მე ბევრ მსოფლიო, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ვხვდებოდი, ვესაუბრებოდი. მაინტერესებდა, რა უფრო ძნელია: საბჭოთა კავშირის ჩემპიონობის მოპოვება, თუ მსოფლიოში უძლიერესის სახელის დასაკუთრება?

ი. გრიგორიევმა, რ. კაზაკოვმა, ა. იურკევიჩმა და ნ. შმაკოვმა უყოყმანოდ მიპასუხეს, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობის მოპოვება გაცილებით ძნელია, რადგან აქ სპორტსმენს შეხვედრა უწევს არა 5-6, არამედ 15-20 ისეთ ძლიერ მეტოქესთან, რომლებიც შესანიშნავად იცნობენ მას. იგივე აზრი გამოთქვა პირველობის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ი. მასლენიკოვმა.

ყოველივე ამას ამიტომ ვწერ, რომ მკითხველმა იცოდეს, რა ძნელი გამოცდა ჰქონდა ჩასაბარებელი ზაქარიანს.

...ქვემსუბუქ წონაში ოქროს მედლისთვის 21 მოჭიდავეს უნდა ებრძოლა. მათ შორის იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი რ. კაზაკოვი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები კ. აგანი და ვ. ტროსტიანსკი, ქვეყნის პირველობის პრიზიორები ა. კიმტაგი, ძმები ი. და ვ. სოკოლოვები, ზაქარიანი და სხვ. ყოველი მათგანი გამარჯვების პრეტენდენტი იყო. ორი წრეც არ იყო დამთავრებული, რომ მსოფლიო ჩემპიონმა ორი მარცხი იწვნია და სარბიელი დატოვა. ჟორა ფინალამდე მივიდა, სადაც შეხვდა ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვებულ 21 წლის ი. სოკოლოვს. იმან, რაც ამ ორთაბრძოლის ბოლო წამებში მოხდა, ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი კოლოსოვიც კი განაცვიფრა.

— ძნელი წარმოსადგენია, დაუჯერებელია, — თქვა მან, როცა ორი ქულით უპირატესობის მქონე სოკოლოვი უცებ მეტოქეს ქვეშ მოექცა და ათ წამში ორჯერ შეეხო ხალიჩას.

ეს თქვა კოლოსოვმა, რომელსაც „არ უყვარდა“ ჟორა.

მე მაინცდამაინც კარგად არ ვიცნობ ჭიდაობის საიდუმლოებებს და ნათლად ვერ წარმოვიდგინე, რა ილეთები გამოიყენა ჟორამ. მაგრამ დავინახე და ვიგრძენი, რა ედო საფუძვლად ამ ელვისებურ მოძრაობებს. ეს იყო სპორტსმენის საბრძოლო სულისკვეთება, მისი შეუპოვრობა, ურომლისოდაც ძნელია გამარჯვებისთვის ბრძოლა. ეს მოხდა იმ დროს, როცა ბევრ გამოცდილ სპეციალისტსაც კი მიაჩნდა—ზაქარიანი ორთაბრძოლას ვეღარ მოიგებსო. სხვა შეიძლებოდა არც გამოსულიყო სარბიელზე, თუ ფინალამდე იმას გადაიტანდა, რაც ჟორას ხვდა წილად, ეს იყო უდიდესი ნერვული დაძაბულობა, წონის შენარჩუნებისთვის ბრძოლა, უძილო ღამეები. აბა, სცადეთ, დაძლიეთ ყველაფერი ეს და ემზადეთ ისეთი დაძაბული ბრძოლისთვის, როგორიც პირველობის ფინალია. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ გამარჯვება სწორედ ასე იბადება.

ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონებიდან მხოლოდ ჟორა ზაქარიანმა დაიცვა თავისი სატიტო ტიტული. ამჯერად იგი უკვე აღარ უჩიოდა ბედს და შინ მიმავალი თვითმფრინავში მხოლოდ ევროპის მომავალ ჩემპიონატზე ლაპარაკობდა.

ჩემპიონს ჩემპიონური ხასიათი აქვს.

რ. ნაზარიანი.

სსრ კავშირის XXXVIII ჩემპიონატი კალათბურთში

პრაქტიკით დასაბუთდა

კალათბურთელ ვაჟთა XXXVIII ჩემპიონატის ერთ-ერთი თავისებურება დუბლიორთა ტურნირია, რომელიც ძირითად შემადგენლობათა მატჩების წინ ტარდება. ამ სიახლის მიზანშეწონილობა უკვე დასაბუთდა პრაქტიკით. შეხვედრები მაყურებლებისა და სპეციალისტთა საყოველთაო ინტერესს იწვევს. რაც მთავარია, ბრძოლა მუდამ შინაარსიანია.

ავიღოთ, თუნდაც, მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა მატჩი. მისი უმოციური ძხარე და სპორტული ღირსება არაფრით ჩამოუვარდებოდა ძირითად შემადგენლობათა ბრძოლის სიმძაფრეს. დებულების თანახმად, დუბლიორთა მატჩში გამოსვლა შეუძლიათ წამყვან მოთამაშეებსაც, ოღონდ მათი მონაწილეობა ძირითად გუნდში მკაცრად ლიმიტირებული უნდა იყოს (კალათბურთელს ნება არა აქვს მოედანზე 40 წუთზე მეტი დაჰყოს).

ამის მიუხედავად, მოსკოველებმა რამდენიმეჯერ ასპარეზი მთავარ ძალებს დაუთმეს, თბილისელები კი მთლიანად ახალგაზრდული შემადგენლობით იბრძოდნენ. მანამ, სანამ დენთი ეყო, ახალგაზრდობა მდგომარეობის აშკარა ბატონ-პატრონი იყო — ტაიმი 8 ქულის უპირატესობით მოიგო — 31:23. შემდეგ საქმეში ჩაერია გამოცდილება, სხვაობა ნელ-ნელა შემცირდა და გონგის წინ ანგარიში გათანაბრდა კიდეც — 50:50.

ბრძოლის ბედი დამატებით ხუთ წუთში გადაწყდა, მაგრამ სურათი უკვე ნათელი იყო. თბილისელმა ახალგაზრდებმა მთელი მონდომება, ენერგია და აზარტი ძირითად 40 წუთს შეალიეს და დამატებით პერიოდს მათთვის მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩემპიონატის სტარტზე სხვებზე უკეთეს შთაბეჭდილებას მოსკოვისა და კიევის არმიელთა დუბლიორები ტოვებენ. მათ ორ-ორი შეხვედრა მოიგეს და საკმაოდ დამაჯერებლადაც. მოსკოველებს გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა აქვთ +44, კიეველებს კი +14.

არ დამარცხებულან კაუნასის „ჟალგირისი“ და რიგის ვეფ-ი, მაგრამ მათ ჯერჯერობით მხოლოდ თითო შეხვედრა ჩაატარეს და გადაჭრით რამის თქმა ცხადია, ძნელია.

გთავაზობთ დუბლიორთა ბოლო მატჩების შედეგებს: ვეფ (რიგა) — ასკ (რიგა) 76:68, „ცსკა“ — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) 89:62, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ასკ (რიგა) 79:71, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — რტი (მინსკი) — 74:73, ასკ (კიევი) — „კალევი“ (ტარტუ) — 87:76.

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 26 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	2	2	0	194—150	2
ასკ (კიევი)	2	2	0	160—146	2
ვეფ (რიგა)	1	1	0	76—68	1
„კალევი“ (ტარტუ)	2	1	1	170—166	1
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	1	1	0	74—73	1
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	2	1	1	158—165	1
„დინამო“ (მოსკოვი)	2	1	1	156—166	1
რტი (მინსკი)	1	0	1	73—74	0
„სტროიტელი“ (კიევი)	1	0	1	70—73	0
„დინამო“ (თბილისი)	1	0	1	61—68	0
ასკ (რიგა)	2	0	2	139—155	0
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	1	0	1	62—89	0

კუდრიავცევამ იმარჯვა

ავგალის სასროლეთზე რამდენიმე დღეა გრძელდება სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. შეჯიბრებაში სამხედრო ოლქების ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. ვაჟებს შესასრულებელი აქვთ 15, ხოლო ქალებს — 9 ვარჯიში. ოკვე გამოვლინდნენ უძლიერესები ექვს ვარჯიშში.

სარბიელზე გამოდიან სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორები და რეკორდსმენები.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდის წევრი, საქართველოს ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ო. კუდრიავცევა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვ. ერმიშიანი), რომელმაც 600-დან 588 ქულა დააგროვა და საქართველოსა და ოლქის ახალი რეკორდები დაამყარა. მისი შედეგი ქულით აღემატება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს. კუდრიავცევამ მსოფლიო ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ნ. სტოლიაროვას (კიევი) 3 ქულით აჯობა, თანაც, თბილისელმა ბოლო 30 გასროლიდან მხოლოდ ქულა დაკარგა.

III ადგილისთვის ნ. ალბაკოვასა (ბელორუსიის ოლქი) და მ. კურგანსკაიას (კიევის ოლქი) შორის დაინიშნა დამატებითი სერია, ვიდრე ორივეს 584-584 ქულა აღმოაჩნდა. საბოლოოდ III ადგილი ალბაკოვას დარჩა.

მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა 50 და 100 მეტრზე გასროლაში შეჯიბრება ლენინგრადელმა ნ. ბელეხკოვამ მოიგო — 593. მოსკოველი სპორტის ოსტატი ლ. არენდი მას 2 ქულით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდა სპორტის ოსტატი ა. ნოსონოვა (გერმანიაში მყოფი საბჭოთა არმია) — 589. თბილისელმა ოსტატმა ლ. ჟურულმა 586 ქულით 45 მონაწილეში VI ადგილი დაიკავა.

სხვა ვარჯიშებში ტექნიკური შედეგები ასეთია: **ქალები. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სროლა.** ი. ივანოვა (ლენინგრადი) — 277 ქულა, კურგანსკაია — 274, ლ. სტაშევსკაია (გმსა) — 272. **ვაჟები. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა 60 გასროლა.** გ. სელეზნიოვი (შორეული აღმოსავლეთის ოლქი) — 594, ვ. დანილჩენკო (კიევის ოლქი) — 592, ვ. ბაკუსი (იმიერკავკასიის ოლქი) — 590. თბილისელი კ. გინოსიანი VII ადგილზეა — 588. **მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლა.** დანილჩენკო — 581, ე. კნიაზევი — 581, ს. კუდერსკი (ყველა — კიევის ოლქი) — 580. **რევოლვერ-პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლა.** ა. ონიშჩუკი (გმსა) — 591, ა. კრასტილიევსკი (ჩრდილო კავკასიის ოლქი) — 589, ა. სპივაკოვი (ბაქო) — 589. თბილისელი ე. კარტაშიანი IX ადგილზეა — 587.

რ. კაციოგაშვილი.

• • •

სურათზე: სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა და საქართველოს ჩემპიონი, საქართველოსა და ამიერკავკასიის. სამხედრო ოლქის რეკორდსმენი ო. კუდრიავცევა შეჯიბრების დროს.

ო. გელაშვილის ფოტო.

ივკოვიც დამარცხდა

პალმა დე მალიორკის საზონათშორისო ტურნირი. მდგომარეობა 13 ტურის შემდეგ: რ. ფიშერი (აშშ) — 9,5 ქულა, ე. გელერი (სსრ კავშირი), ვ. ულმანი (გდრ) —8,5-8,5, ე. მეკინგი (ბრაზილია) — 8, რ. ჰიუბნერი (გფრ) — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. ტაიმანოვი, ლ. პოლუგაევსკი (ორივე — სსრ კავშირი) — 7,5-7,5, ლ. პორტიში (უნგრეთი), ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), ო. პანო (არგენტინა), ბ. ლარსენი (დანია) — 7-7 ქულა და თითო გადადებული პარტია.

ერთდღიანი დასვენების შემდეგ საზონათშორისო ტურნირში კვლავ გაჩაღდა ბრძოლა: შედგა XIII ტური.

ფიშერი შეხვდა იუგოსლავიელ ივკოვს, რომელსაც ამ ტურნირში ჯერ ერთი პარტიაც არ წაეგო. ამერიკელმა დიდოსტატმა ჩინებულად ითამაშა და მეტოქეს პირველად ათქმევინა სიტყვა — „ვნებდებით“.

გელერმა მ. ფილიპთან (ჩეხოსლოვაკია) შავებით უპირატესობა ვერ მიიღო და ყაიმს დასჯერდა. ასევე მოიქცა პოლუგაევსკი, რომელიც ვ. ჰორტს (ჩეხოსლოვაკია) ეთამაშებოდა. ახლა დაუმარცხებელი მხოლოდ პოლუგაევსკი დარჩა.

ულმანმა და მეკინგმა თითო ქულა შემატეს თავიანთ ბიუჯეტს. მათ შესაბამისად მოუგეს ტ. უიტუმენს (მონღოლეთი) და უ. რუბინეტის (არგენტინა). მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა ტაიმანოვმაც, რომელმაც ე. ხიმენესი (კუბა) დაამარცხა.

ს. ნარანიამ (ფილიპინები) მოუგო უ. ადისონს (აშშ).

დაუმთავრებელი დარჩა ჰიუბნერ — პორტიშის, ვ. სმისლოვ (სსრ კავშირი) — ლარსენის, ტ. სათლუ (კანადა) — დ. მინიჩის (იუგოსლავია), გლიგორიჩ — მ. მატულოვიჩისა (იუგოსლავია) და პანო — ს. რეშევსკის (აშშ) შეხვედრები.

პალმა დე მალიორკის ტალღაზე

ნერვები, ნერვები...

როცა ფიშერთან პარტია მოსაგებ პოზიციაში გადადო, ლარსენმა სიხარული ვერ დამალა. თბილისელმა დიდოსტატმა ვ. გუფელდმა, რომელიც გელერს ასლავს მწვრთნელად, ჰკითხა დანიელ დიდოსტატს.

— ამ შეჯიბრებაში ძალიან ხშირად გეცვლებათ გუნება. ხან სულ მოდუნული დადიხართ, ხან ღიმილი არ გცილდებათ. რაზეა ეს დამოკიდებული?

— მოგებაზე და წაგებაზე, — უპასუხა მოღიმარმა ლარსენმა. — დილით ფიშერთან თამაში არ მსურდა, მაგრამ ამერიკის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი ედმონდსონი შემომიჩნდა. ისეთი სადილი ჭამონდა, უარი ვერ ვუთხარი.

რამდენიმე დღის შემდეგ ლარსენი მოღუშული დადიოდა. ეს არ იყო ძნელი ასახსნელი: მან ჰორტთან პარტია უიმედო მდგომარეობაში გადადო.

— რატომ არ დანებდით, უფიგურო აპირებთ თამაშს? — ჰკითხეს დანიელ დიდოსტატს.

— პარტია იმიტომ გადავდე, რომ ფიშერი აქამდე არ დამნებდა.

„არ გიპასუხებთ“

ტურნირის ზოგიერთ მონაწილეს, მათ შორის, ფიშერსა და პორტიშს, ჰკითხეს, ვინ შეგვა, მათი აზრით, პირველ ექვსეულში.

პორტიშმა უპასუხა: ჩემი მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი ჩომი ამტკიცებს, რომ ექვსეულში შევლენ პოლუგაევსკი, გელერი, ფიშერი, ლარსენი, პორტიში და ულმანი. მე ვეთანხმები მას.

ფიშერმა თქვა: ექვსეულს არ დავასახელებ. ხუთეულიდან ყველა შეიძლება ჩემი მეტოქე იყოს პრეტენდენტთა მატჩებში. ჩემი შეფასება კი მათ მხოლოდ ძალახა და რწმენას შემატებს. ითამაშონ...

ლარსენი და მხოლოდ ლარსენი

ასე გასცა პასუხი ლარსენმა კითხვაზე: ვინ შეხვდება ბ. სპასკის მატჩში 1972 წელს? ზოგიერთი სხვა მოჭადრაკის აზრი ასეთია.

ივანოვი: ყველაზე მეტად მესიამოვნება პრეტენდენტი ივკოვი რომ იყოს.

პანო: დავასახელებდი პანოს, მაგრამ მისი თავადაც არ მჯერა. უფრო მოსალოდნელია, რომ სპასკის შეხვდეს კორჩნოი ან ფიშერი.

ფიშერი: ფიშერი. სხვა შემთხვევაში ჩემს ბრძოლას ამ ძნელ ტურნირში აზრი არ აქვს.

როგორც მსოფლიო ჩემპიონატში...

ფხენიანი, 27 ნოემბერი. მაგიდის ჩოგბურთის ოსტატთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა ქალების გუნდი (მსოფლიო ჩემპიონები — მოსკოველები გრინბერგი და რუდნოვა) უძლიერესი აღმოჩნდა. ისე, როგორც მიუნჰენის მსოფლიო ჩემპიონატში, ამ კოლექტივმა გადამწყვეტ ბრძოლაში რუმინელები დაამარცხა. შეხვედრის ანგარიშია 3:1.

რუდნოვას აქტივშია ორი მოგება. მან ერთნაირი ანგარიშით (2:0) აჯობა ალბალეკუსა და ალექსანდრუს. გადამწყვეტი ქულა საბჭოთა სპორტსმენებმა წყვილთა შეხვედრაში აიღეს — მეტოქენი ანგარიშით 2:1 დაამარცხეს.

საბჭოთა გუნდმა თავის ქვეჯგუფში ერთნაირი ანგარიშით (3:0) აჯობა უნგრეთისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებ კოლექტივებს, აგრეთვე, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეორე ნაკრებს.

III ადგილი დაიკავა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პირველმა გუნდმა.

სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები ნაკლები წარმატებით გამოვიდა. თავის ქვეჯგუფში მან ჯერ უნგრეთის გუნდი დაამარცხა (5:3), მერე კი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეორე ნაკრებთან წაგება — 2:5. III საპრიზო ადგილის მოსაპოვებლად საბჭოთა სპორტსმენები ჩეხოსლოვაკიელებს შეხვდნენ და ამჯერადაც მარცხის სიმწარე იწვნიეს — 4:5. გუნდში გამოდიოდნენ რიგელი ეგლიტისი, მოსკოველები გომოზკოვი და 16 წლის ფურსოვი, რომელმაც დაამარცხა ძლიერი ოსტატი კოლაროვიჩი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ჯვრის პირველ რაგბურებში

მთავარი რეკორდია მეგობრობა

ვლადივოსტოკი. წარმატებით ტარდება უზენაესი სპორტული პრიზის — ინტერნაციონალური მეგობრობის საზღვაო თასის გათამაშება. შეჯიბრება დაიწყო გემების 220 ეკიპაჟმა, მაგრამ ახლა მათი რიცხვი უკვე ოთხასს აღწევს. ეს პრიზი დააწესა „ვოდნიკის“ წყნარი ოკეანის აუზის საბჭომ, რომელსაც ვლადივოსტოკში აქვს ბინა. შეჯიბრებები ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ნაგიდის ჩოგბურთში, ბადმინტონსა და სხვა სახეობებში ტარდება დევიზით: „ზღვები და ოკეანეები ხალხებს აერთიანებენ“.

შეჯიბრების დებულებით, წაგების დროს გუნდს 1 ქულა ეწერება, შეხვედრის ფრედ დამთავრებისთვის — 2, გამარჯვებისთვის — 3.

საბჭოთა და უცხოურ ნავსადგურებში ასობით მეგობრული სპორტული შეხვედრა გაიმართა. თასის გათამაშებაში კარგად გამოდიან საბჭოთა გემების „კოვდორის“, „ვანინის“, „იქმის“, პოლონეთის „ფლორიანის“, დანიის „სამოისა“ და სხვა ეკიპაჟები. ჯერჯერობით წარმატების იმედი არც ძველ ლიდერებს — „ომსკის“, „ხაბაროვსკის“, „ოსტროგოჟსკის“ ეკიპაჟებს დაუკარგავთ. მაგალითად, „ოსტროგოჟსკის“ მოჭადრაკეებმა გადმოსცეს ცნობა, რომ გაიმარჯვეს კუბელებთან. თუმცა, კანადაში ამ გემის ფრენბურთელებმა მარცხიც იწვნიეს.

მეზღვაურთა საერთაშორისო შეჯიბრებები უაღრესად პოპულარულია. გუმების გუნდების გარდა, სარბიელზე გამოდიან უცხოური კომპანიების, აგრეთვე, ზღვის სანაპიროზე მდებარე კოლეჯების, უნივერსიტეტების, ქალაქების კოლექტივები.

ზღვაოსან სპორტსმენებს ბევრჯერ ეშლებათ ხელი, რადგან წყრთნა ხშირად წყდება ზღვასა და ოკეანეში ამოვარილი ქარიშხლის გამო. მაგრამ ენთუზიასტები ვარჯიშს მაინც არ წყვეტენ. მართალია, ღირსშესანიშნავი რეკორდები მათს შეჯიბრებებში შეიძლება არც მყარდება, მაგრამ, სამაგიეროდ, მეზღვაურები ჯანს იკაჟებენ და მხნეობა ემატებათ.

ინტერნაციონალური მეგობრობის თასი წყნარი ოკეანის აუზში გათამაშებული მესამე პრიზია. მანამდე დიდი წარმატებით ჩატარდა იაპონიის ზღვისა და წყნარი ოკეანის თასების გათამაშება.

ფილატელია სპეციალურ ბაზაზე

სასტენდო სროლა. ვარკეთილის სასროლეთი. 29 ნოემბერი. საკავშირო შეჯიბრება — ჩემპიონთა ტურნირი. დასაწყისი 10 ს.

ტყვიის სროლა. ავგალის სასროლეთი. 29 ნოემბერი-8 დეკემბერი. შეიარაღებულ ძალთა საკავშირო პირველობა. დასაწყისი 10 ს.